ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №6815238

ნომერი: AR11007340

თარიღი : 20.12.2023

გაცემის თარიღი : 21.12.2023

გაცნობის თარიღი : 25.12.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

უზნაძის ქ. N103 ს.კ 01.13.08.009.002;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ ლორთქიფანიძე პ/ნ 01008053818
- ვანის 5

ორგანიზაცია:

- შპს ელმონტაჟი კოდი: 405455626

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 20213 წლის 20 დეკემბრის AR11007340 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, უზნაძის ქ. #103-ში ქვესადგურის განთავსების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში, დ. უზნაძის ქ. #103-ში არსებულ შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენს მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს. აქედან გამომდინარე, განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში: ელექტრონული განაცხადები>მშენებლობის ნებართვა>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი > სარეაბილიტაციო სამუშაოები და წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია. აღნიშნული ქმედების განხორციელების მიზნით სამსახურის მიერ გააქტიურებულია ნომენკლატურის ცვლილების უფლება.

დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი :

- არ არის წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები ტერიტორიის სრულად ჩვენებით;
- დამატებით წარმოდგენილი იქნეს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო ქუჩის მხრიდან;

2...ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი :

- არ არის წარმოდგენილი ფოტომონტაჟი ტექრიტორიის სრულად ჩვენებით;
- ფოტომონტაჟზე არ არის მითითებული მასალა, ფერის კოდები;
- ქვესადგურის განთავსების ადგილი საკადასტრო გეგმაზე მონიშნული იქნეს უზურფუქტის ხელშეკრულებაზე თანდართულ საკადასტრო გეგმასთან;

3. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით (საჭიროების შემთხვევაში თანხმობას დაერთოს ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.